სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება № 01-06-02/67

ქ. თბილისი 24 დეკემბერი 2024

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ფაკულტეტების საშტატო განრიგში შესატანი ცვლილებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 24 დეკემბრის №01-05-02/35 ოქმისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2024 წლის 24 დეკემბრის №01-06-02/11 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. დამტკიცდეს სტუ-ის ფაკულტეტების საშტატო განრიგში შესატანი ცვლილებები, კერძოდ დეკანის მოადგილეებს სასწავლო დარგში განესაზღვროთ ხელფასი 2500 ლარის ოდენობით თვეში; ხოლო დეკანის მოადგილეებს სამეცნიერო და საერთაშორისო ურთიერთობების დარგში 2200 ლარის ოდენობით თვეში;

1.1. დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**